პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელ-არმიელი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველდღიური ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფ სი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

119 (1114) | სამშაბათი, 1 ივნისი 1926 წ. | 119 (1114)

# პოლონეთის მსხვილი და საშუალო მრეწველობის წარმომადგენლები მოითხოვენ პილსუდსკის პრეზიდენტათ არჩევას.

## საქართველოს ცაკის მორიგი სესია გაიხსნება ქ. სოხუმში.

### რაჭის მაზრაში მრავალი სოფლები დააზარალა ნიაღვრებმა. წალეკილია ზოგიერთ ადგილებში ნათესები. დაღუპულია შინაური საქონელი. წყალდიდობას აჭარისტანშიც მოყვა საგრძნობი ზარალი.

## ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

კვირას თბილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ამ გამოფენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მთლიანად ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის, ისე განსაკუთრებით სასოფლო-მეურნეობისათვის.

როგორც ცნობილია ამიერ-კავკასია და კერძოდ ჩვენი ქვეყანაც, უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. სწორედ ეს უკანასკნელი შეადგენს ჯერ-ჯერობით ჩვენი სახალხო მეურნეობის ქვაკუთხედს. მაგრამ ჩვენი სოფლის მეურნეობა მეტის მეტად ჩამორჩენილია. ის დღესაც მამაპაპურ წესით მუშავდება, რაც რასაკვირველია დიდძალი სამეურნეო ძალის დახარჯვასთან ერთად მეტად მცირე ნაყოფს იძლევა. ჩვენი გლეხი მოკლებულია სათანადო აგრონომიულ ცოდნას, ის ვერ ამუშავებს მიწას მიზანშეწონილად, მას არ გააჩნია სათანადოთ გაუმჯობესებული სამიწადმოქმედო იარაღები.

ამავე დროს კი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული ხაზი მთელი საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის განვითარების შესახებ, დაჟინებით მოითხოვს აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარებასაც, ვინაიდან განვითარების გზაზე დამდგარ მრეწველობას სოფელმა უნდა მისცეს ნედლი მასალა. და რაც უფრო სწრაფ ნაბიჯით წავა წინ საბჭოთა მრეწველობა, მით უფრო მეტ მოთხოვნილებებს წარუყენებს ის სოფლის მეურნეობას. ამ მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობა ვერ დააკმაყოფილებს თუ ის მიწის დამუშავების მხრივ ჩამორჩენილი იქნება და არ გადავა გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე ხმარებაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიწა მისცა გლეხს. ეხლა მის მიზანს შეადგენს აღორძინოს გლეხის მეურნეობა, ფართედ შემოიღოს გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებით მიწის დამუშავება, ერთი ორად გაზარდოს სოფლის მეურნეობის ნაყოფიერობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეს გამოფენაც.

მასში მონაწილეობას ღებულობენ როგორც საბჭოთა მრეწველობის, ისე თითქმის ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნების მსხვილი ფირმები. გამოფენას ინახულებენ გლეხები ამიერ-კავკასიის ყველა კუთხიდან, და აქვე გაეცნობიან მას თუ რა უპირატესობა აქვთ მათ მამაპაპურ გუთანთან ამ მანქანებს, როგორ მუშავდება ამ მანქანებით მიწა და სხვა. გამოფენა აგრეთვე დაგვანახებს ჩვენ თუ რომელი ამ მანქანებში გამოსადეგია ჩვენი ქვეყნის პირობებისათვის და რომელი არა.

დაბოლოოს ხსენებულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ხელს შეუწყობს ჩვენსა და უცხოელ ქვეყნებს შორის ეკონომიური კავშირის გაძლიერებას, რაც საფუძვლად დაედება პოლიტიკური ზავის განმტკიცებას ჩვენსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა დიდ სამსახურს გაუწევს ამ.-კავკასიის სასოფლო-მეურნეობის აღორძინების საქმეს. ამაშია მისი უდიდესი მნიშვნელობა.

## საფრანგეთის სოციალ-გამყიდველების ახალი ხრიკები

ამ უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის ფულის კურსი კვლავ დაეცა. ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს წვრილ-ბურჟუაზიულ წრეებში და მუშათა მასებში, ვინაიდან ფრანკის დაცემით ეცემა სამუშაო ხელფასიც. საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზია კი სპეკულიაციას ეწევა ფრანკის დაცემაზე და ერთი-ორად ადიდებს თავის სიმდიდრეს.

ფინანსიურმა კრიზისმა იმ დონემდე მიაღწია საფრანგეთში, რომ უკვე ალაპარკდენ გადამჭრელი და საფუძვლიანი ზომების მიღების შესახებ ფინანსიური საკითხის მოსაგვარებლად.

ცხადია სანამ საფრანგეთის სათავეში იქნება ბურჟუაზიული მთავრობა, ყველა ეს გადამჭრელი ზომები გატარდება მშრომელი ხალხის, ნაოფლარის ხარჯზე.

ყველა ის რეფორმები, რომელსაც საფრანგეთის ხელისუფლება გაატარებს ცხოვრებაში ფრანკის კურსის განსამტკიცებლად, უდავოა, რომ მძიმე ტვირთად დააწვება მუშათა კლასს და წვრილ ბურჟუაზიას.

ორში ერთი. ან მსხვილი ბურჟუაზია უნდა დაიბეგროს, ან კიდევ უფრო უნდა გადიდდეს გადასახადები. პირველ გზას საფრანგეთის მთავრობა იყოს, ის მემარჯვენე ბურჟუაზიულ პარტიებისაგან თუ სოციალ-შემთანხმებლებისაგან შემდგარი, ვერ დაადგება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის გადადგომა.

რჩება მეორე გზა—მშრომელთა მასების მეტი გაყვლეფა. არც ეს გზა საბოლოოდ არ მოუტანს საფრანგეთის ბურჟუაზიას კარგ შედეგებს, რაც დღე მიდის მით უფრო და უფრო უარესდება მოსახლეობის ფართე მასების მატერიალური მდგომარეობა.

მაშასადამე იზრდება უკმაყოფილება და მასთან მემარცხენეობა მუშათა კლასში.

ამ გარემოებამ უკვე იქონია გავლენა საფრანგეთის მენშევიკურ პარტიაზე.

ორი წლის წინად საფრანგეთის სოციალ-გამყიდველები ერთხმად უჭერდენ მხარს მემარცხენე ბურჟუაზიულ მთავრობას. ისინი გაკეთებას პირდებოდენ მუშებს. მაგრამ განვლო დრომ და სოციალისტების მხარის დაჭერამ შედეგათ მოიტანა ბურჟუაზიის ჯიბეების გასქელება და მშრომელი ხალხის გაღატაკება. მუშებს იმედები უცრუვდებათ სოციალისტებზე, ისინი ეჭვის თვალით იწყებენ ყურებას მათზე. ამიტომაც საფრანგეთის ყვითელი სოციალისტები სცდილობენ როგორმე გაამაგრონ მუშებში თავისი შერყეული ავტორიტეტი. ეხლახან დასრულებულ მათ ყრილობაზე სავსებით გამოაშკარავდა ეს ცდა.

ყრილობა გაიყო სამად. მემარჯვენეები, რომლებიც მოითხოვს ბურჟუაზიულ მთავრობისათვის მხარის დაჭერას და მთავრობაში მონაწილეობას. ცენტრი—წინააღმდეგია ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობის, ხოლო მომხრეა მხარის დაჭერის.

ყრილობის მემარცხენე ნაწილი მოითხოვს კომუნისტებთან კავშირს. არც ერთ ფრთას არავითარი კარგის მოტანა არ შეუძლია მუშათა კლასისათვის. დაწყებული მემარჯვენე ფრთიდან და გათავებული მარცხენა ფრთით ყველანი მუშათა კლასის მოტყუილებას ემსახურებიან. მათი ცდები კი, როგორმე გაიმაგრონ ფესვები მუშებში იმის საუკეთესო მაჩვენებელია, თუ როგორ ზნეობრივ გათახსირებამდე მივიდენ ბურჟუაზიის მოციქულები, ოღონდ კი შეინარჩუნონ გავლენა მუშებზე.

კიდევ პატარა ხანი და საფრანგეთის მუშები შესძლებენ გამყიდველ ბელადებისაგან თავის დახწევას და ნამდვილ რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე დადგომას.

—ე.

## პოლონეთში.

### სამზადისი ეროვნული კრებისათვის.

ყველა პარტიები დიდის ამბით ემზადებიან ეროვნული კრებისათვის—მიუხედავად ამისა მდგომარეობა მაინც გამოურკვეველია. მემარცხენეები გაძლიერებულ აგიტაციას აწარმოებენ პილსუდსკის კანდიდატურის სასარგებლოდ. მემარჯვენეები კი ვერ შეთანხმდენ საერთო კანდიდატზე.

მემარჯვენე კანდიდატების რიცხვში ასახელებენ დმოვსკის, გენერალ სასნოვსკის და გრაფ ზამოისკის.

სეიმის წრეებში სწარმოებს დიდი მუშაობა, რომ მიიმხრონ პილსუდსკის სასარგებლოდ ეროვნულ მუშათა პარტიის ერთი ნაწილი.

სეიმის შენობაში მიღებულია ყოველგვარი ზომები ნაციონალური კრების უზრუნველსაყოფად გარეშე თავდასხმისა და პროვოკაციული გამოსვლების შემთხვევებისაგან.

### პილსუდსკის მხარს უჭერენ

პოლონეთის რამოდენიმე გაზეთებმა გამოაქვეყნეს მსხვილი და საშუალო მრეწველობის წარმომადგენლების მოწოდება, რომლებიც მოითხოვენ არჩეული იქნეს პრეზიდენტათ პილსუდსკი. მათი აზრით მხოლოდ პილსუდსკის შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის მშვიდობიანობა.

### ვიტოსი განზე დგას

პოლონეთის ყოფილმა პრემიერმა ვიტოსმა განაცხადა, რომ ის არ მიიღებს მონაწილეობას ეროვნულ კრებაში.

გავრცელებული ხმების თანახმად, მას ეშინია ვარშავაში ჩასვლის და ხალხის შურის ძიების.

## პასუხს ქუჩა მოითხოვს.

პრემიერ ბარტელთან გამართულ „პოლიტიკური ჩაის“ დროს, პილსუდსკიმ განაცხადა, რომ მას არ სურს განაგოს ქვეყანა მათრახით და სრულ თავისუფლებას აძლევს ეროვნულ კრებას, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აირჩიოს პრეზიდენტი.

„თუმცა“-ო—განაგრძო პილსუდსკიმ—მე გაფრთხილებთ არ იქნეს არჩეული პრეზიდენტათ უღირსი პარტიული მოღვაწე, რომელიც შეიძლება გახდეს ბინძური ხელების იარაღი. თვითონ თქვენ იქნებით დამნაშავე თუ ასეთი საქციელის საპასუხოთ ხმას აიმაღლებს ქუჩა“-ო.

პილსუდსკის სიტყვა მოსმენილი იქნა უხმოდ. იქ დამსწრეებს არ გამოუთქვამთ ამის შესახებ თავიანთი აზრი.

## ფინანსების „გაჯანსაღებისათვის“

საფრანგეთის მთავრობა სცდილობს მთელი თავისი ყურადღება გადაიტანოს ფრანკის კურსის გაჯანსაღებისაკენ და უარს ყოფს გადასახადების გადიდებას. მთავრობა წინადადებას შეიტანს პარლამენტში გადადებული იქნეს კამათი ფინანსების გაჯანსაღებისათვის ღონისძიებათა გამონახვის შესახებ და დარწმუნებულია, რომ პარლამენტი და სახელმწიფო შეიგნებენ იმ აუცილებლობას, რომ მთელი ყურადღება უნდა მიექცეს ფინანსების გაჯანსაღების საქმეს.

## საბჭოთა კავშირში

### ამხ. რიკოვი ავიაქიმის მუშაობის შესახებ.

24 მაისს შესდგა ამხ. რიკოვის თავმჯდომარეობით, ს.ს.რ.კ. და რ.ს.ფ.ს.რ. ავიოქიმთა კავშირის პრეზიდიუმთა გაერთიანებული სხდომა.

ავიოქიმის ერთი წლის მუშაობის შესახებ,—მოხსენებით გამოვიდა ამხ. უნშლიხტი.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დროს ხაზი გაუსვა იმ დაბრკოლებებს, რომელსაც ეს საზოგადოება განიცდის.

ამხ. რიკოვმა კამათის დროს განაცხადა: „აუცილებლათ საჭიროა საზოგადოების მუშაობას საფუძვლათ დაედოს გლეხთა აქტივობის განვითარება. ჩვენი საზოგადოების წევრებათ უნდა იყოს მხოლოდ ისეთი პირები, ვისაც შეგნებული აქვს მთელი პასუხისმგებლობა და სიმძიმე იმ ამოცანების, რომლებიც სდგას ჩვენს წინაშე ჩვენს მეურნეობაში და ქვეყნის თავდაცვის აღმშენებლობაში.

ისეთი ამოცანა, როგორიც არის საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა და მისი დაცვა მეტათ დიდი და რთული ამოცანაა. ამ ამოცანის კარგათ შესრულება ბიუროკრატიული საშვალებებით შეუძლებელია. ჩვენ უნდა აღმოვფხრათ კანცელარიზმი და ჩინოვნიკობა. ხოლო გზა ამისაკენ მდგომარეობს ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამაგრებაში.

ის, ვინც ასამარებს საბჭოთა საზოგადოებრივობას—ის ამასთანავე ასამარებს ჩვენ მომავალსაც.

მიუხედავათ რამოდენიმე ნაკლისა, ავიოქიმის საზოგადოების მიერ მაინც შესრულებულია დიდი დადებითი მუშაობა.

ამხ. კამენევის მოხსენების შემდეგ, რომელიც შეეხებოდა საზღვარგარეთ გადაფრენის საკითხს, 1926 წლიდან ავიაქიმის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეთ ამორჩეული იქმნა ამხ. ვოროშილოვი.

## საქართველოში.

### მომჭირნეობის რეჟიმისათვის

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა შეადგინა კომისია, რომელსაც დაევალა მაზრაში მომჭირნეობის რეჟიმის გატარება. კომისიამ უკვე დაიწყო გურიის საბჭოთა დაწესებულებებსა და საწარმოო ორგანიზაციებში შტატების გადასინჯვა.

## ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა.

30 მაისს დღის 1-ლ საათზე, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთავრობის წევრების, სამეურნეო დაწესებულებათა, კომისარიატების წარმომადგენლებისა, გერმანიის, იტალიის, ოსმალეთის და საბჭოთა გენერალური კონსულების, გერმანიის, იტალიის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის და ამერიკული 120 ფირმების წარმომადგენლებისა და ადგილობრივ მშრომელთა თანდასწრებით აშვებული იქნა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დროშა.

**დროშის აშვების წინ.**

გამოფენის გახსნის დღეს კიდევ სწარმოებდა მუშაობა დაგვიანებული ექსპონატების მოსათავსებლად. წინდღეში მოჰყავდათ ტრაქტორების მატორები და მრავალი სხვა.

გამოფენის გახსნის დღეს მთავარ შესასვლელთან აუარება ხალხი იდგა რიგში და უცდიდენ ბილეთების აღებას. გახსნის მომენტში გამოფენაზე დაშვებული იქნა 2.000 კაცი.

მნახველთა ყურადღება, განსაკუთრებით კი მუშებისა და გლეხების მიიქცია ტრაქტორებმა, რუდოლფ საკის გუთნებმა, ზაიგის ფირმის ღვინის დასამზადებელ მანქანებმა და „სელმაშის“ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღებმა.

მნახველებს უხსნიდენ ამა თუ იმ სასოფლო სამეურნეო იარაღების ღირსებისა და ნაკლულოვანებების შესახებ. ზოგიერთ ჯგუფებში აღნიშნავდენ, რომ გამოფენას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი და წარმატებით დამთავრდება თუ ყველა იარაღების გამოცდას ექნება პრაქტიკული ხასიათი.

**საზეიმო სხდომა.**

დღის 1-ლ საათზე, როდესაც გამოფენის ტერიტორიაზე სრულად შეიყარნენ თავი ამიერკავკასიის და საქართველოს მთავრობის წევრები და უცხოეთის სახელმწიფო წარმომადგენლებმა დაიკავეს ადგილი ესტრადაზე, გამოფენის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შირვანსკიმ გახსნა გამოფენის საზეიმო სხდომა და პირველი სიტყვა მისცა ამიერ კავკასიის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. აღა-მალი-ოღლის.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამიერ კავკასიის ცაკის თავმჯდომარე მ. ცხაკაია, საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და ამხ. მამია ორახელაშვილი. ყველანი ერთხმად აღნიშნავდნენ თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება გამოფენას ტექნიკურად ჩამორჩენილ ჩვენი სასოფლო მეურნეობისთვის.

**ექსპონატებთან.**

სხდომის დამთავრების შემდეგ ამიერკავკასიის და საქართველოს მთავრობის წევრებმა დაათვალიერეს გამოფენის პავილიონები, სადაც მოისმინეს უცხოელ ინჟინერების განმარტებები სხვადასხვა ექსპონატებზე და ეცნობოდენ მათ.

გამოფენაზე წარმოდგენილი არიან ტრაქტორები და მათზე მისაბმელი ნაწილები, უახლოეს სისტემის იარაღები, რთული და უბრალო აგებულობის აპარატები და ხელსაწყოები, სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგებში გამოსაყენებლად.

გამოფენის გახსნის პირველ დღეს ექსპონატების ნახვა გაგრძელდა საღამომდე.

**გლეხთა პირველი ექსკურსიები.**

ტფილისში გამოფენის სანახავად ჩამოვიდენ უკვე გლეხთა პირველი ექსკურსიები: აძერბეიჯანიდან—80 კაცი და 40 სომხეთიდან. ქართველ გლეხების ექსკურსიები დაიწყება გამოფენის სანახავად ივნისის შუა რიცხვებში.

## აძერბეიჯანი
### მტკვრის ადიდება

28—29 მაისს მტკვარი ასცილდა ჩვეულებრივ დონეს ბაქოში 3,45 მეტრით

მტკვრის ასეთი გადიდება პირველია 20 წლის განმავლობაში. ზოგიერთ ადგილებში მდინარემ გაგლიჯა ნაპირები. სოფ. ბინახშსა, კახაისა და ხეიდლში წყალი შეიჭრა 173 კომლის ეზოში

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება
### პარტსაქმიანობა და საკავშირო მუშაობა ბანაკში.

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონში არის ჩამოყალიბებული 11 კომუჯრედი და 1 და მე-2 საფეხურის პარტსკოლები. უჯრედები სისტემატიურად იწვევენ მორიგ კრებებს, რომლებზედაც შუქდება ამა თუ იმ თემასთან ერთად სხვა საჭირბოროტო საკითხებიც.

კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ წრეებისა და ლენკუთხეში არსებულ ბირთვების საქმიანობაში, ატარებენ საუბრებს, ლიტერატურულ გასამართლებებს და მრავალი სხვა. ისინი მაგალითის მაჩვენებელი არიან უპარტიო წითელ არმიელებისათვის და ამრავლებენ თავიანთ რიგებს ახალწვეულებით.

ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული პარტგანათლებას. პარტსკოლებში მეცადინეობა სწარმოებს ყოველ კვირაში ერთხელ—კითხვა პასუხით და კითხვა საუბრის წესით.

ბანაკში გსვლამდე კომუჯრედებს შეფობის ქვეშ აყვანილი ყავდა მრავალი სამოქალაქო და სოფლის უჯრედები. სწარმოებდა მათი გასამხედროება. დაბანაკების შემდეგ უმთავრესი ყურადღება მიექცა პარტიული ხაზით გლეხობასთან და სამოქალაქო უჯრედებთან დაახლოვების და მჭიდრო კავშირის დაჭერას. ჯერჯერობით ჩვენმა კომუჯრედმა ლეგიონის მაშტაბით შეფათ აიყვანა გორის სამაზრო კომუჯრედი, სადაც განზრახულია სამხედრო კუთხის მოწყობა.

მალე თითეული კომუჯრედიც გაამამს კავშირს გლეხობასთან და შეუდგებით დავალებული საქმეების შესრულებას საბანაკო ცხვრების პირობებში.

ი—ანი.

## მოხსენება პროფკავშირზე

1-ლი ლეგ. 7 ასეული.

28 მაისს ასეულში შესდგა კომუჯრედის და ახკომკავშირის გაერთიანებული კრება, რომელზედაც ამხ. თოდრიამ გააკეთა მოხსენება პროფკავშირების მიზანისა და მნიშვნელობის შესახებ.

მოხსენებამ მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე. დაწვრილებით გავეცანით ამ ორგანიზაციის დანიშნულებას, მუშათა შეკავშირების საქმეში.

მრავალი შეკითხვები იქნა შეტანილი მოხსენების ირგვლივ რაზედაც გაეცა დაწვრილებით პასუხი.

დასასრულ გარჩეული იქნა განცხადება პარტკანდიდატობიდან პარტიის წევრად გადირიცხვის შესახებ. მსურველებმა მისცეს ამხანაგს სხვა და სხვა ხასიათის შეკითხვები. ამხანაგების შესახებ აღიძრა შუამდგომლობა ბიურო კოლექტივის წინაშე, რათა ისინი გადარიცხული იქნენ პარტიის წევრებად.

დ—რე.

---

აგდანის მაზრაში წყალმა წაიღო 42 გლეხის სახლი. მოსახლეობა გამოყვანილი იქნა. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

წყალმა კიდევ თუ იმატა დაიღუპება ბამბის ნათესები. წყალდიდობის ლიკვიდაციისთვის მიღებულია ყოველგვარი ზომები.

სალიანის მაზრაში დაკეტილია ნახტულინის განათხარი.

მიღებულია ცნობები, რომ მდინარე არვატჩაიმ გადმოხეთქა ნაპირი და შეიჭრა ქალაქ გეუკჩაიში. გეუკჩაისა და უჯარს შორის შეწყვეტილია კავშირი.

## ნავთის ახალი შადრევანი

სურახანაში 5-თე სამუშაოზე ამოხეთქა ნავთის ახალმა შადრევანმა; შადრევანიდან ამოდის წითელი ნავთი.

## სამხედრო სწავლება ბანაკში
### როდის უნდა მივმართოდ თავდაცვას

თავდაცვას უნდა მივმართოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი ხდება მთელ რიგ სხვა და სხვა მიზეზების გამო. მაგალითად, მოპირდაპირე ძლიერია, ხოლო ჩვენ კი მცირე რიცხოვანი ვართ. ამიტომ საჭიროა პირველ ყოვლისა მისი დაქსაქსვა ცეცხლით და შემდეგ კი უნდა გადავიდეთ შეტევაზე. ანდა მაგალითად საჭიროა, რომ მოპირდაპირე შეჩერებული იქნეს მცირე ძალებით, რათა მთელი ძალების თავმოყრით მეორე ადგილზე მივაყენოთ მას სერიოზული ზარალი.

ყველა ამ შემთხვევებში თავდაცვა წარმოადგენს მტრის დროებითი შეჩერების საშვალებას, რომლის დროს აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მეტი ზარალი მივაყენოთ მოპირდაპირეს, დავქსაქსოთ მისი რიგები ცეცხლით და შემდეგ გადავიდეთ შეტევაზე.

რისგან შესდგება ქვეითი ჯარის თავდაცვითი მოქმედება? პირველ ყოვლისა მტრის შემოტევის უკუქცევა გაძლიერებული ცეცხლით და შემდეგ კონტრშეტევის ჩატარებაში (შეხვედრითი შეტევა) საკუთარი ცოცხალი ძალით და ცეცხლით.

ასეთი თავდაცვისათვის ქვეითი ჯარი ისე ეწყობა თავდაცვის რაიონში, რომ ყველა მოხერხებული ადგილები დაკავებული იქნეს ტყვიამფრქვევებითა და არტილერიით; რომ შეიძლებოდეს წინა ხაზის განუწყვეტლად თვალთვალი და კარგად ექცეოდეს ცეცხლის ხაზში წინა და გვერდით მდებარე მიდამოები.

ყველა ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს წინასწარ თავდაცვის რაიონის ამორჩევის დროს, რის შემდეგ ამორჩეული სარტყელი იყოფა სასეულო და საოცეულო საბრძოლო რაიონებათ. მსროლელთა ოცეულები ისე ეწყობიან თავდაცვისათვის, რომ ქმნიან უმთავრესი წინააღმდეგობის და თავდაცვის სარტყელს.

მთავარი წინააღმდეგობის სარტყელი იმით განსხვავდება მთავარი თავდაცვის სარტყელისაგან, რომ თავდაცვის ოცეულები გადაყავთ წინ და ამოცანად ეძლევათ უზრუნველყონ როგორც დაჭერილ სარტყელი წინა ადგილები, ისე მის შიგნით მდებარე მიდამოების თვალდევნა.

მთავარი წინააღმდეგობის სარტყელში მოთავსებულ ოცეულების ამოცანებში შედის, რაც არ უნდა იქნეს დაიცვან დაკავებული რაიონი მტრის იერიშებისაგან და არ მისცენ მას საშვალება დაიკავონ ის.

## „მაქსიმის“ სამხაზიანი ტყვიამფრქვევის გასინჯვა დათვალიერება

3. 15.000 გასროლის შემდეგ ლულა იცრიცება და უკან დაკვრა იკლებს. ლულა იცრიცება სამ ადგილას უკანა, შუა და წინა ნაწილებში. უკანა იცრიცება უფრო მეტად ვინაიდან იქ ხდება აფეთქება და გულის ფორმის შეცვლა გლუვში სწრაფი შეჭრით; წინ კი უფრო მეტი გაქლექა ხდება შუანაზე ვინადან იქედანვარდება გულა.

აქ შემაბრუნებელი მშვილდის მოჭიმვა უნდა იყოს ისთე შეთანხმებული, რომ შეეწონოს უკანა დაკვრას და სახელური ძლიერ არ უნდა სცემდეს გლუნს. რომ არ აატყდეს კოლოფს ზედა გვ რდი.

4. ჩარჩოს ბაქნები არ უნდა იყონ მიწოლილი კოლოფის წინა ამონაჭერზე, მათ შორის უნდა რჩებოდეს სივრცე; ჩარჩო ლულით უნდა იყოს მიწოლილი ბრინჯაოს ბურლქანჩათროფის ზედა მოცულობაში. ამისთვის ზედა ბაკოსა და ბრინჯაოს რგოლის შორის ჩადებული საწერი ქაღალდი უნდა იჭეროდეს.

ა). სრიალა მიმღებები, როდესაც ნაწილები წინა მდგომარეობაშია, უნდა ქანაობდენ.

ბ) როდესაც ჩარჩო იმყოფება უკანა მდგომარეობაში, მუხლა ბერკეტის ქუსლს შორის და წინა ამოფრილასა მარცხენა დგომის შორის უნდა რჩებოდეს პატარა სივრცე, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოტყდეს მარცხენა დგამის გაგრძელებული ნაწილი.

3) ურთიერთ მდგომარეობა მამრევის მრყევის სახელურის და ურდულისა.

ა) ისინჯება გასალების გარეშე; ქაღალდი უნდა ჩავდოთ მრყევსა და ჩარჩოს ბაქნებს შუა, გამოწევისას ქაღალდი უნდა იჭეროდეს.

ბ) სახელურის ქვევით დაწოლის დროს ურდული არ უნდა ინძრეოდეს.

გ) გაზების გაჩენის დროს უნდა ხდებოდეს ერთდროული დაკვრა მრყევის ჩარჩოს ბაქნებზე და სახელურის ურდულზე და თუ ურდული ინძრევა, ტყვიამფრქვევი მაშინ უვარგისია. რისთვისაც ტყვიამფრქვევი უნდა იქნეს აუცილებლად გაგზავნილი ქარხანაში.

6. კორა უნდა ადგენდეს კოლოფის სახურავთან 90° სწორ კუთხეს.

სახურავს უნდა ჰქონდეს შედუნულება შიგნით და თავი ისე იქნეს მიყრდნობილი კოლოფის თავზე, რომ ქაღალდს არ ხვდეს,—გამოღებული მიმღების დროს, თასის ზედა მდგომარეობაში ყოფნისას, თუ ხვდეს, შეიძლება მოიქლიბოს თასის ზედა ნაწილი ლეგიონის სახელოსნოში.

7. შემაბრუნებელი მშვილდი ბოლოებში არ უნდა იყოს დაცილებული ხვეული ხვეულიდან ერთი ხვეულის სისქეზე მეტი.

ლ. ყიფიანი.

*) დასაწყისი იხ. გაზ. „წით. არმ.“ № 118.

## ქვეითი ჯარის ძალა ფეხებშია.
### მოუარე ფეხს ლაშქრობისას.

ნაწილის საბრძოლო უნარი ბევრად არის დამოკიდებული იმისგან, თუ რამდენათ ასატანია ის ლაშქრობისას, რამდენათ დიდი ბრძოლის გავლა შეუძლია ვარჯიშობის საშუალებით.

მაგრამ ნაწილის გამძლეობა ლაშქრობის დროს დამოკიდებულია იმისგან, თუ როგორ უფრთხილდება მებრძოლი თავის ფეხებს. ჩვენ ვიცით, თუ რამდენი მებრძოლი ჩამორჩენია თავის ნაწილს ლაშქრობისას ფეხების დაშავების გამო.

ცხელ ამინდში ლაშქრობისას ფეხები ოფლდება და ადვილად ჭუჭყიანდება მტვერის გამო.

ჭუჭყი შეიცავს აუარება მიკრობებს, მათ რიცხვში ისეთებსაც, რომლებიც იწვევენ დაჩირქებას. საკმარისია, ფეხი ცოტათი გაფხაჭნილი და გახეხილი დარჩეს, რომ ეს მიკრობი მყისვე მოიკალათებს თავს შიგნით და გამოიწვევს დაჩირქებას.

რაც უფრო სუფთად შეინახავს წითელ არმიელი თავის ფეხს, რაც უფრო ხშირად დაიბანს ის მას ლაშქრობის დროს, ყოველ ხელსაყრელ პირობებში, მით უფრო ნაკლებათ იქნება შესაძლებლობა, რომ დაუჭუჭყიანდეს და დაუჩირქდეს ფეხები.

ცხადია ამავე დროს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ფეხსახვევის სისუფთავეს. ოფლით და ჭუჭყით გაჟღენთილი ფეხსახვევი კი საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს ჩირქის გამომწვევ მიკრობების გასავრცელებლად. ამიტომაც საჭიროა რათა ფეხსახვევები ხშირად ირეცხებოდეს.

ფეხსახვევის ფეხზე დახვევის დროს საჭიროა მისი ბოლოების რიგ-რიგობით შემოხვევა, რათა გაცვეთილი ბოლოები უშუალოდ არ ეკვროდენ ფეხს.

ფეხსახვევის დახვევის ხერხსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფეხსახვევის დახვევა საჭიროა ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები ნაკეცები იყოს, რომლებიც გახეხავენ ფეხს. ყველას სჯობია ფეხსახვევი დაიხვიო შემდეგნაირად.

ფეხსახვევი უნდა დააფინო იატაკზე ან მიწაზე დაადგა ფეხი ზედ ისე, რომ თითების ბოლოები 1 ნახ. ვერშოკით იყოს დაცილებული ზედა კიდესაგან. ფეხზე დახვევა უნდა დაიწყო ფეხსახვევის მარცხენა ბოლოდან, შემოკეცავ რა ფეხსახვევის ზემო კუთხეს ტერფის ქვეშ მარჯვენა მხრიდან.

თითების ბოლოში დარჩენილი ნაწილი ფეხსახვევის უნდა შემოიკეცო თითების ქვეშ.

ამნაირად შემოხვეული ფეხსახვევი კი მოხერხებულად იქნება დაფენილი ფეხზე და არ აიქიჩნება ზევით ჩექმის ან ფეხსაცმელის ჩაცმის დროს.

ფეხსახვევი საკმაოთ უნდა დაიხვიო, მაგრამ არა ისე რომ მოგიჭიროს, თორემ სიარულის დროს სისხლის მოძრაობა ფეხში შესუსტდება და ის მალე იწყებს დაღლას.

მიმდინარე საბანაკო პერიოდი საუკეთესო გამოცდა იქნება, თუ რამდენათ თითეული წითელ არმიელი უვლის თავის ფეხებს.

ექ.

# ჩვენს ტერნაწილებში.

## ჩვენი მიღწევები

...ე ლეგიონის სკოლა

კარგა ხანია, რაც მეხუთე ლეგიონში დაარსებული იქნა უმცროს მეთაურთა სკოლა. საზამთრო პროგრამა სკოლაში წარმატებით იქნა გავლილი. ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისათვის.

პირველი მუშაობა, რომელიც ჩატარებული იქნა ამ მიმართულებით იყო სროლის საქმე და პირველი მოსამზადებელი ვარჯიშობანი სროლაში. ეს საქმე ჩატარებული იქნა 90 პროც. გავიარეთ პრაქტიკული ვარჯიშობის სამი ილეთი, ტაქტიკური მეცადინეობა ველში საბრძოლო წესით; აქ როგორც პირველი ნაბიჯი გვქონდა შეცდომები, მაგრამ მალე გამოვასწორეთ.

შემდეგი მეცადინეობა გვქონდა ტოპოგრაფიაში. ოთხჯერ გავიდა სკოლა ველში ტოპოგრაფიული მეცადინეობის საწარმოებლად და მოვახდინეთ, როგორც პატარა გორაკების-ბორცვების, ისე ველების აგეგმვა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ არც ერთ კურსანტს არ გასჭირვებია ხაზობრივი და რიცხობრივ ზომსადარის-მაშტაბის შედგენა და აგეგმვისათვის მისი სისწორით გამოყენება. ჩავატარეთ ვარჯიში აგრეთვე კავშირის საქმეში.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სკოლამ ქიმიური მეცადინეობის დროს.

გამოყოფილია სკოლიდან სპეციალურად ქიმიური ჯგუფი, რომელიც სისტემატიურად აწარმოებს მეცადინეობას. ამას წინად გავიარეთ ქიმიური „ნათვლაც“. შევისწავლეთ საგარნიზონო და შინა სამსახურის წესები. ესეც გატარებული იქნა სინამდვილეში. არ ქონია ადგილი წესების დარღვევას ან გადაჭარბებას კურსანტების მიერ.

დისციპლინა საუცხოვოა სკოლაში.

პოლიტ-მეცადინეობისათვის ჩვენი სკოლა დაყოფილია ოთხ ჯგუფად. თითეულ ჯგუფს ყავს ცალკე ლექტორი; ამ ჟამად სწარმოებს ზამთრის პერიოდში განვლილი პოლიტცოდნის შეფასება და დაწყებულია გამოცდები.

ჩვენი მუშაობის პირველი პერიოდი უკვე დამთავრდა და გადავედით მეორე პერიოდში. წარსულ მუშაობიდან დიდი შედეგები მივიღეთ. იმედი გვაქვს, რომ სკოლის მიღწევები კიდევ უფრო გაგვიადვილებს მუშაობას მომავალში და მეტი წარმატებით დავამთავრებთ საზაფხულო მუშაობასაც.

მ. ჭყონია.

## ლეგიონი ამუშავდა

მე-4 ლეგიონი.

ცვალებადელების შეკრებამ მეტად გამოაცოცხლა ლეგიონი. ყველა ასეულებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ და კულტურულ განმანათლებელ დარგში. დაწყებულია უცოდინართა ჯგუფთან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ახალწვეულები დიდი გულისყურით ეკიდებიან სწავლას.

მეცადინეობა ნორმალურად დაიწყო 17 მაისს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ არის გაკეთებული.

სამხედრო მეცადინეობისათვის დიდი ყურადღება ექცევა ასეულს. მეთაურები ენერგიულად ეკიდებიან დავალებებს, რადგან იციან, რომ მოკლე ხანში ვერ მოასწრებენ სამხედრო საქმის საჭირო კურსის გავლას თუ ენერგიულად არ ამეცადინეს წითელ არმიელები.

ა. იმერლიშვილი.

## ცვალებადელების საერთო კრება.

მე-5 ლეგიონი.

17 მაისს ქალაქის ცირკის შენობაში შესდგა ქუთაისის გარნიზონის ცვალებადელთა გაერთიანებული კრება.

კრება გახსნა მეხუთე ლეგიონის სამხკომმა, რომელიც მიესალმა ახალწვეულებს და აღნიშნა ის მიზნები, რომლებიც არის დასახული 1903 წელში დაბადებულ ცვალებადელების გამოწვევის დროს.

ცვალებადელები დიდი ყურადღებით უსმენდენ სამხედრო კომისარს.

შემდეგ ახალწვეულებს მიესალმა აგრეთვე ადგილობრივი პარტკომისია და სამაზრო პროფბიუროს წარმომადგენელი ამხ. კალანდაძე. მან აღნიშნა მილიციონური სისტემის დადებითი მხარეები და მოუწოდა მათ ენერგიულად ჩაებან წითელი ჯარისა და კერძოთ ტერადმშენებლობის განმტკიცების საქმეში.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ აგრეთვე სხვა ორგანიზაციებისა, სამხედრო ნაწილების და დაწესებულებათა წარმომადგენლები. ყველანი მოუწოდებდენ ამხანაგებს კარგად შეისწავლონ სამხედრო საქმე და ფხიზლად იდგენ ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე.

ახალწვეულები მქუხარე ტაშით ხვდებოდენ ყველა ორატორებს და თავის მხრივაც დასდვეს ფიცი, რომ ენერგიულად მოკიდებენ ხელს მუშაობას და დაიცავენ რკინისებურ დისციპლინას.

ქ. დევაძე.

# საბანაკო სწავლება და ცხოვრება

## ჩვენი საბანაკო მუშაობა

ქ. ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონის მეცადინეობა სამხედრო საქმეში სისტემატიურად მიმდინარეობს. ამ მხრივ არ უშინდებით ცუდ ამინდებსაც კი, ტალახებში და წვიმებში გვიხდება მეტ წილად მეცადინეობა, რომელიც მიმდინარეობს საომარ წესებით როგორც ცხენებზე, ისე ქვეითა წყობილებით; პრაქტიკულად ვსწავლობთ ცხენებით და ქვეითად, თუ როგორ უნდა დავამარცხოთ მტერი.

ამ თვის (მაისის) შუა რიცხვებში ბანაკში გვეწვია ამხ. სერგო ორჯონიკიძე, რომელიც გაეცნო საერთოდ ჩვენს მდგომარეობას.

ამხ. იმ დროს გვეწვია, როდესაც წითელ არმიელები სადილობდნენ—მან დაწვრილებით გამოკითხა წ-არმიელებს მათი ყოფა ცხოვრებაზე, კვებაზე და სხვა.

ამხანაგი სერგოს ამხანაგურმა, მეგობრულმა საუბარმა ძლიერ გაახარა წითელ არმიელები „ნეტავი მალ-მალე გვინახულებდეო“!

**პოლიტმუშაობა.**

პოლიტ-მუშაობა ლეგიონში ჯერ კიდევ არა სდგას თავის დონეზე, მაგრამ ამასაც მრავალი მიზეზები აქვს. მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ახლად დაბანაკება. ისე კი ყოველ დღიურად ვლახვთ დაბრკოლებებს და ვსცდილობთ მის შესაფერ სიმაღლეზე დაყენებას.

25 მაისს ლეგიონში ჩამოვიდა პოლიტ-განყოფილებიდან პარტ-კომისია, რომელმაც მიიღო რამოდენიმე კ. კავშირის წევრი პარტიის კანდიდატად და რამოდენიმე პარტიის კანდიდატი კი პარტიის წევრად.

25 მაისს შესდგა საერთო პარტ-წევრების, კანდიდატების კ. კავშირის წევრების და პარტკომისიის და სამხკომთან ერთად გაერთიანებული კრება. გაკეთებული იქნა მოხსენება ბიურო კოლექტივის მუშაობის შესახებ.

დასასრულ გაიმართა კამათი, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდნენ, როგორც პარტიის წევრები, ისე კ. კავშირის წევრებიც;

შემდეგ მოხსენება გააკეთა პარტ-კომისიის წევრმა, მან აღნიშნა შეცდომები და დადებითი მხარეები ბიურო-კოლექტივის მუშაობაში. ბიურო-კოლექტივის მუშაობა მიჩნეული იქნა ერთხმად დამაკმაყოფილებლად.

**საკლუბო მუშაობა.**

საკლუბო მუშაობაზე ჯერჯერობით რა ითქმის რა, ვინაიდან ამისთვის არაა შესაფერი პირობები ამ ცუდ ამინდების დროს, რაც შეეხება ლენ-კუთხეებს, შეძლებისა და გვარად არის მოწყობილი; გვაქვს მოწყობილი სამკითხველო, წიგნები მრავლად მოიპოვება, მაგრამ გაზეთები თავის დროზე არ მოგვდის; საჭიროა, რომ ეს საქმეც მოგვარდეს.

კედლის გაზეთები ჯერ-ჯერობით არ არის გამოსული; საჭიროა, რომ ამასაც მიექცეს სათანადო ყურადღება და შეუდგენ მის გამოცემის საქმეს.

პ. ნადარეიშვილი.

## ცვალებადელები დიდ აქტიობას იჩენენ

მე-4 ლეგ. 2 ათასეული.

ცვალებადელებთან მეცადინეობა ათასეულში კარგა ხანია დავიწყეთ.

გავდივართ როგორც სამხედრო საქმეს, ისე პოლიტიკურსაც. ახალწვეულები დიდ აქტიობას იჩენენ ყველაფერში.

ნაწილში წარმოებული ყველა საქმიანობა აინტერესებთ. ეს აქტიობა შესამჩნევია აგრეთვე საერთო განათლების საქმეშიც. წერა-კითხვის უცოდინარებთან სწარმოებს მეცადინეობა.

ამისთვის სპეციალურად არიან გამოყოფილი ხელმძღვანელები. არ შეიძლება ითქვას, რომ ადგილი არ ჰქონდეს ნაწილში ზოგიერთ ნაკლულოვანებებს, მაგრამ მთავარია ის, რომ ცვალებადელებს მტკიცედ აქვთ შეგნებული თავისი დანიშნულება და დისციპლინა, რომელიც დღითი დღე მტკიცდება. ნაწილი დიდ მიღწევების წინაშე დადგება ცვალებადელებში ახეთი სულიერი განწყობილების გამო.

ვ. მ—ძე.

## პოლიტ-ხელთა სემინარები.

1-ლი ლეგიონი.

ამ რამოდენიმე დღის წინ ბანაკში ჩამოყალიბებული იქნა დივიზიის მაშტაბით პოლიტხელთა სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობენ პოლიტ-განყოფილების ძალები. სემინარმა დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა, და ირჩევა ყველა ის საკითხები, რომლებიც თვითეულ ჩვენთაგანმა უნდა გამოიყენოს ბანაკათ მუშაობაში.

მეცადინეობა დიდ ნაყოფს გვაძლევს, ამხანაგები ნათლად ერკვევიან ყველა საკითხებში და ღებულობენ სათანადო გამოცდილებებს ერთმანეთთან მუშაობით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა 1902 წელში დაბ. წითელ არმიელთა მეცადინეობას, მათი შესაფერი მომზადებისათვის ვიყენებთ სემინარიებში მიღებულ გამოცდილებას.

უკვე შევუდექით პროგრამის გარჩევას. იმართება კამათი სადაო საკითხების ირგვლივ.

მეცადინეობა მიმდინარეობს საღამოობით, რადგან ამ დროს ყველა პოლიტ-ხელები განთავისუფლებული არიანა დღეში გავდივართ 3 საუბარს, მეცადინეობა სწარმოებს 3 საათი ყოველ დღიურად.

გარდა ამისა ამ მოკლე ხანში უნდა დაიწყოს ლეგიონების მასშტაბით ყველა ჯგუფების ხელმძღვანელთა სემინარების მეცადინეობა; ამის ჩამოყალიბება ნაწილებში აუცილებლად საჭიროა და დაჩქარებითაც უნდა მოვაწყოთ. ჩვენ როგორც პოლიტხელებთან, ისე ყველა ჯგუფის ხელმძღვანელებთან გვესაჭიროება ასეთი მიდგომა, რომ ჯგუფის ხელმძღვანელებს მივსცეთ მაინც ელემენტარულ ცოდნა.

ს. იმნაიშვილი.

## სამხედრო სწავლება გაჩაღდა

ბანაკში მდგომი 1-ლ დივიზიის ნაწილები უკვე შეუდგენ საზაფხულო მუშაობის წარმოებას. ყველა ნაწილები აკეთებენ თავის საქმეს. ბანაკის ახლო-მახლო მიდამოები ყოველ დღიურად მოფენილია წითელ არმიელებით, რომლებიც სწავლობენ პრაქტიკულად სამხედრო საქმეს. ყველგან გაისმის უფროსების განკარგულებანი ამა თუ იმ საქმის შესასრულებლად.

წითელ არმელებს ასწავლიან თუ როგორ უნდა გამოიყენონ ადგილ-მდებარეობა, როგორ უნდა აწარმოონ ერთი ადგილიდან მეორეზე გადარბენა და მოხერხებული ადგილ-მდებარეობის დაკავება.

დიდი ენერგიით ეკიდებიან აგრეთვე სროლის საქმის შესწავლას.

ბანაკში დიდი სიცოცხლე და მოქმედება. ის იშვიათ სანახაობას წარმოადგენს ყოველდღე.

მალე მოეწყობა საერთო მანევრებიც და მაშინ გამოიჩენს თითეული ნაწილი თავის ცოდნას და უნარს.

ილ. პატაშური.

## მყუდრო სოფელი *)

დრო მიდიოდა.

მყუდრო სოფელი ისევ ისე კოხტად გამოიყურებოდა მუხათა და ნაძვთ შორის.

— ამბობენ, ბარში დიდი ამბავიაო. გუშინ წალკას მიმავალმა ბერძნებმა თქვეს: ნეფე აღარ არის და ხალხი უნდა გაბატონდესო.

— რახან ნეფე აღარ იქნება, აღარც თავად-აზნაური იბოგინებს ამ ქვეყნათ.

— ასე თქვეს „მენშევიკი“ გაბატონდება საქართველოშიაო.

— რა ხალხია ეგ მენშევიკი?

— არ ვიცი, თავი არ მომიკვდეს, პირველი გაგონებაა.

——

თოფის სროლამ დაარღვია მყუდრო სოფლის ტკბილი ძილი. ძაღლები გამალებით ჰყეფდნენ, საქონელი ბღაოდა. დიდი და პატარა შიშმა მოიცვა.

— რა იყო, რა მოხდა?

— მტერი დაგვეცა.

— აბა, თოფს მოჰკიდე ხელი.

— ვინა ხარ, რა გინდათ.

ჩირაღდნებმა სიბნელე გაჰფანტეს.

— გაჩვენებთ ვინცა ვართ. აბა, გამოიყვანეთ ყველა დამალული ყაჩაღი, თორემ გადავწვავ სოფელს. ჩქარა, დრო არა მაქვს.

ჩოჩქოლი ასტყდა. მყუდრო სოფელში ყაჩაღი? სად გაგონილა? ვინა სთქვა?

— არა, ჩვენ ყაჩაღების შემნახველი არა ვართ.

— ჩვენ ჩვენი ოფლით ვცხოვრობთ.

ვინ დაუჯერა?

აწიოკდა მყუდრო სოფელი,ატირდა ბევრი დედა, დაიწვა ბევრი სახლი.

ასე გაიცნო მყუდრო სოფელმა მენშევიკთა გაბატონება საქართველოში.

——

დრო მიდიოდა. საქართველო გაწითლდა.

მაისი მიწურული იყო.

მზე უხვად აფრქვევდა თრიალეთის მთის ერთ ფერდობზე მიკრულ მყუდრო სოფელს თავის სხივებს.

უქმე დღე იყო და სოფელსაც ერთად მოეყარა თავი.

მასლაათობდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ.

შორით მოისმა რაღაც გაურკვეველი ხმა.

მყუდრო სოფელმა ყურები სცქვიტა.

ყველა გზას მიაჩერდა.

ერიამულით, სიმღერით, მუსიკის გუგუნით მყუდრო სოფელს ესტუმრა წითელარმიელები.

გაკვირდა სოფელი, ჯერ შიში იგრძნო.

მაგრამ ეჭვი მალე გაიფანტა.

— ჩვენ მოვედით თქვენ გასაცნობათ. გვინდა თქვენთან გავაბათ კავშირი.

მალე დამეგობრდნენ არმიელები და სოფლელები.

გაჩაღდა ზასი, სიმღერა, ცეკვა.

ჯერ არ ენახა მყუდრო სოფელს ამისთანა სურათი.

ბებერმა მუხამ და ნაძვმა სული განაბეს და ყურს უგდებდნენ უჩვევ ხმაურობას. ხანდახან გაკვირვების ნიშნათ შეირხეოდა მათი მწვანე თავი.

——

ყოველ კვირა ადიოდნენ არმიელნი მყუდრო სოფელში. სოფელიც გულის ფანცქალით მიელოდა მათ.

შეეჩვივნენ არმიელებს.

— თქვენ ხელში რა გვიშავს, ბიჭებო, დიდხანს იცოცხლეთ. დაგვავიწყდა გასაჭირი და ძველი დარდი.

— ვინც მოდიოდა თქვენამდის, ყველა გვაწიოკებდა, თქვენ სულ სხვა ხართ.

— გაგიმარჯოთ, გაცოცხლოთ.

ამ სიტყვებით ხვდებოდა უკვე განახლებისა და აღორძინების გზაზე დამდგარი სოფელი ძვირფას სტუმრებს.

ე. ხუციშვილი.

*) დასაწყისი იხილე ჩვენი გაზეთის № 118.

# სხვა და სხვა

## ჭაობების ამოშრობა

აჭარისტანის წყალთა სამმართველოს მიერ მიმდინარე წელში დაშრობილი იქნა 1005 დესიატინა ჭაობი. ამოშრობილ ადგილებში განზრახულია ბრინჯის დათესვა.

## მდ. ჭოროხის ადიდება

დიდი წვიმების გამო მდინარე ჭოროხი ძლიერ ადიდდა. ზოგიერთ ადგილებში მდინარემ გადმოხეთქა ნაპირებიდან. აჭარის წყალის შესართავის რაიონში მდინარემ წაიღო ხის ხიდი. ზოგიერთ ადგილებში მდინარის წყალმა დაჰფარა ნათესები.

## ნათესების მდგომარეობა

მთელს გურიაში თანდათან სრულდება მიწების დამუშავება. წვიმები ხშირად მოდის. სიმინდის ყანების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

## წვიმებით დაზარალებული სოფლები

რაჭის მაზრაში განუწყვეტელ კოკისპირული წვიმებით დიდი ზარალი მიადგა სოფ. ნიკორწმინდას, ზნაკვას, ველევს, ქელიაღელეს და სხვა მთელ რიგ სოფლებს. სოფ. ველევში ნიაღვრებმა იმსხვერპლა 15 სული შინაური ცხოველი. ძლიერ დაზარალებულია სიმინდის ყანები. სოფ. ნიკორწმინდაში მეხი დაეცა ცნობილ ისტორიულ ეკლესიას. დაზიანებულია ეკლესიის ერთი კედელი.

## ახალი ხაზი

ქუთაისიდან—წყალტუბომდე უკვე დაიწყო მეორე საელსმენო ხაზის გაყვანა, რომელიც დააკავშირებს წყალტუბოს ქ. ტფილისთან. თვით ქუთაისში მოეწყო ორმავთულიან ელსმენის ქსელი.

## კითხვა-პასუხის საღამო

მე-2 ცალკე საკავშირო ასეული

1926 წ. 28 მაისს შესდგა კითხვა-პასუხის საღამო. აუარებელი კითხვები შემოვიდა, როგორც პოლიტიკური, სე სამხედრო და სამეურნეო ხასიათის. კითხვები შემოვიდა წერილობითი და პირადი, წითელ არმიელები იჩენენ დიდ აქტივობას, აუარებელ კითხვებს აძლევდნენ ხელმძღვანელებს.

საღამომ ფრიად დამაკმაყოფილებლად ჩაიარა, ყოველივე შემკითხველი დაკმაყოფილდა პასუხებით. სასურველი იქნებოდა, რომ ასეთი კითხვა-პასუხის საღამოები ხშირად მოეწყონოდეს.

ამით კი საშუალება მოგვეცემა მეტი აქტივობისათვის.

დ. მატიაშვილი.

## ვემზადებით ენერგიული მეცადინეობისათვის

1-ლი საკავშირო ასეული.

ჩვენი ნაწილი უკვე ბანაკში იყო 14 მაისს. მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ამინდები დაგვესწრო, მაინც შევსძელით შესაფერად მოგვეწყო ბანაკი. ჯერ-ჯერობით კიდევ ბანაკის მოწყობით ვართ დაკავებული, რომელიც ამ დღეებში დამთავრდება და შემდეგ შეუდგებით სისტემატიურ მეცადინეობას. წითელ არმიელები დიდი ხალისით ელოდებიან მთთვის ჯერ უცნობ საბანაკო სამხედრო მეცადინეობას. მეთაურთა შემადგენლობა ამ მხრივ ყოველგვარად მომზადებულია.

თეორიული მომზადება სამხედრო საქმეში დამაკმაყოფილებელია.

უცდით დროს, როდის შეგვეძლება ყველა ამ ცოდნის პრაქტიკაში გადატანა და სათანადოთ მოხმარება და გამოყენება.

ე.

# ადგილობრივი ამბები

## საქარ. ცაკის სესია სოხუმში

საქართ. ცაკის მდივნის ამხ. თოდრიას ცნობით, ცაკის წევრები გაემგზავრებიან სესიაზე ტფილისიდან 9 ივნისს. 10 ივნისს კი ცაკის წევრები გავლენ ბათომიდან გემით სოხუმისაკენ. ცაკის სესია სოხუმში გაგრძელდება ერთი კვირა.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

არა გვაქვს განათება.

აგერ რამოდენიმე დღეა, რაც ცხენ. ლეგიონის ყაზარმაში დარჩენილ ნაწილს არა გვაქვს განათება. დაღამდება თუ არა დიდ არეულობას აქვს ადგილი ყაზარმაში. სად რა გვაქვს და რა ძევს ვეღარ ვნახულობთ. არა გვაქვს საშვალება ღამით ვიკითხოთ წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა. ძლივს-ძლიობით ვაგნებთ ჩვენს საწოლებს. დადუმებულია წითელი კუთხე და ვერც სხვა წრეებში ვმუშაობთ. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ლეგიონის კომენდანტმა ამ გარემოებას და დროზე მოგვცეს განათება.

ცეცხლი.

მოგვეცით წყალი.

მე-5 ლეგ. სამნეო ასეულის ეზოში გამოყვანილია ორი მილი, მაგრამ წყალი მაინც არ მოდის. იმ დროს მოდის წყალი, როდესაც სამეცადინოთ არის გასული მთელი ლეგიონის შემადგენლობა.

დილდილობით მდინარეზე გვიხდება პირის დასაბანათ სიარული. უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ წყალი გვეძლეოდეს ყოველთვის და თუ ეს შესაძლებელია იმ დროისთვის მაინც, როდესაც ნაწილს ეს ესაჭიროება და მოიხმარს.

მ—წმე.

# უცხოეთის არმიებში

## სასანგრე ქვემეხები

არტილერიის ცეცხლი საუკეთესო საშვალებაა მტრის დასამარცხებლად დაცილებული მანძილიდან, და იმ დაბრკოლებების დასაძლევათ, რომლებიც ხელს უშლიან ქვეითა ჯარის შეტევაზე გადასვლას (მავთულხლართი და სხვა).

თუმცა თანამედროვე ბრძოლის ტაქტიკის პირობებში, როდესაც მოწინაალმდეგე არ იმალება სანგრებში და იყოფა მთელ რიგ ათასეულ და ასეულ ჯგუფებად, მისი დაჭერა არტილერიის ცეცხლისათვის მეტად ძნელი საქმეა.

მცირე ნაწილებად დაყოფილ მოწინაალმდეგის დასამარცხებლად. საჭიროა მსუბუქი, ადვილად გადასატანი ქვემეხები, რომლებითაც უფრო ადვილად შეიძლება ცოცხალი-მოძრაობაში მყოფი ნიშნების მიზანში ამოღება.

ამ მიზნით შემოღებული იქნენ ე. წოდებული სასანგრე ქვემეხები.

ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს იყო ხმარებაში შემოსული ასეთი ქვემეხები, მაგრამ ისინი დიდი მოცულობის, მძიმე და ადვილად შესამჩნევი იყო მოწინაალმდეგისათვის. ამას გარდა ეს ქვემეხები იხმარებოდა ტანკებისა და ჯავშნოსნების შესაიარაღებლად.

მსოფლიო ომმა ნათელყო, რომ მსუბუქი, ადვილად გადასატანი ქვემეხები დიდ როლს ითამაშებდნენ ბრძოლის დროს მოწინავე პოზიციებზე.

სასანგრე ქვემეხების დაშლა შეიძლება სწრაფად და თავისუფლად. მისი გადატან-გადმოტანა თამამად შეუძლია სამ ჯარისკაცს.

ქვემეხი უზრუნველყოფილია ყუმბარებით, მართალია მცირე მოცულობის, მაგრამ უდიდესი გამანადგურებელი თვისებით.

# რჩევა დარიგებები სოფლის მეურნეს.

## როგორ შეიძლება წყლის სიღრმის გაგება

რომ გაიგოთ რა სიღრმეზეა წყალი იმ ადგილას, სადაც თქვენ გსურთ ჭის ამოთხრა, ამისთვის საჭიროა აიღოთ 15 მისხალი ჩაუმქრალი კირი, 15 მისხალი გოგირდი, 15 მისხალი შაბიამანი. ყველაფერი ეს უნდა დაიფქვეს და ქოთანში უნდა მოათავსოთ. ზევიდან ქოთანი იხურება 15 მისხალი ცხვრის ტყავით.

ქოთანს სწონიან და ჩაფლავენ მიწაში 7 ვერშოკის სიღრმით იმ ადგილას, სადაც განზრახულია ჭის ამოთხრა. სრული 24 საათის შემდეგ ქოთანს ამოთხრიან.

თუ ქოთანი შემსუბუქდა—მაშინ წყალი სრულიად არ არის. თუ ქოთანის წონამ მოიმატა 12 მისხლით—მაშინ წყლამდე 11 საჟ., თუ 24 მისხლით—წყალი 3 საჟენზეა, 30 მისხლით—1 ნახ. საჟ.

## ცხენის კოჭლობა

ყანების დახვნის დროს, გლეხისთვის მეტად ძვირფასია მისი ცხენის კარგად ყოფნა და მისი ავადმყოფობა ცუდ გავლენას ახდენს ერთდროულად დახვნაზე, მაშასადამე მოსავალზედაც.

ცხენის დაკოჭლება შესაძლებელია დამოკიდებული იყოს 1) ფლოქვის დაშავებისაგან, 2) ძარღვების სახსრების დაჭიმვისაგან და რევმატიზმისაგან.

ძლიერ ხშირად ავადმყოფობას ეძებენ ფეხის სხვა და სხვა ნაწილში, მაგრამ როგორც შემდეგ ირკვევა ის ფლოქვშია.

ამიტომაც პირველ ყოვლისა საჭიროა ფლოქვის გასინჯვა, ჯანსაღ ფეხთან შედარებით, და გამორკვეულ უნდა იქნას აქვს თუ არა ადგილი სიცხეს, სიმტკივნეს თითების დაზელვის დროს, სიმსივნეს, გაბზარვას და სხვა. თუ ყველა ეს ნიშნები აღმოაჩენენ ავადმყოფობას, მაშინ საჭიროა ყველაზე უფრო გრძნობიერი ადგილის გამონახვა ფლოქვზე და რქისებური ნაწილის ამოჭრა, სანამ არ წამოვა შავი ჩირქი ან სისხლიანი სითხე.

ამის შემდეგ საჭიროა ჭრილობის დახურვა სკიპიდარში ან ნავთში ამოვლებული ბამბით. თუ ჩირქი არ აღმოჩნდა, ჭრილობის ბამბით დახურვის შემდეგ, საჭიროა მტკივანი ადგილის სუფთა ჭინჭით შემოხვევა და ხშირად ცივი წყლით დასველება.

არის შემთხვევა, როცა ორივე ფეხზე კოჭლდება ცხენი. სიცხე მაშინ აქვს ან ორ წინა ფეხში ან ორ უკანაში.

მკურნალობა ამ შემთხვევაში საჭიროა შემდეგნაირად: ანთებიანი ფეხებს ცხენს ჩაადგმევინებენ თხელ თიხაში და კუტავენ მას ლორწოიანი ნახარშით სამარხვო ზეთით.

# პასუხი შეკითხვებზე

— კალამკაროვს. სამხედრო უწყებიდან რძის ფული ბავშ სათვის არ მოგეცემათ.

— კიკნას. უნდა მოხდეს კვლევა—ძიება და თუ დამტკიც რომ სახელმწიფო ქონება თქვენი დაუდევრობით დაიკარგა, მაშ გადაგხდებათ მისი ღირებულება.

— გორგიაშვილს. თუ გადამწერის კურსები არ გაგითავებია მაშინ უნდა იმსახუროთ ორი წელიწადი, თუ გაათავეთ სამი წელ

— პ. აბ—ძეს. არ გეკუთვნით.

— მ.—შვილს. მიმართედ ლეგიონის ექიმს, რომლისაგანაც მ იღებთ საჭირო რჩევა-დარიგებას.

— ნიორაძეს. ძმებთა შორის გაყოფის შემდეგ შესრულებუ არა სრული ერთი წელიწადი ჯარში გაწვევის დროს, ამიტომ თქ არ გქონდათ უფლება გესარგებლად პირველი ხარისხის შე ვათით.

— მ—შვილს. ცოლის შესართავად მოკლე ვადიანი შვებულ არ მოგეცემათ.

— ა—ძეს. თუ გაათავეთ მეორე საფეხურის სკოლა, იმ შემ ხვევაში მწერლის მოწაფედ გამოყენებული არ უნდა იქნათ, არამე გადაგზავნილ უნდა იქნათ მწყობრში თანახმად ბრძანებისა №127 24 წ. და სავალდებულო სამსახურის კანონის მუხ. მუხ. 144—152.

— შემკითხველებს. მოკლე ვადიანი შვებულება ეძლევათ წ თელ არმიელებს განსაკუთრებული ოჯახური მდგომარეობის გამ მშობლების, ცოლის და შვილის სიკვდილის გამო, მამულის გაყ ფის და სტიქიური უბედურების დროს, თუ ამან დააზარალა მეუ რნეობა; ყოველივე ეს შემოწმებული უნდა იყოს ადგილობრივ ხე ლისუფლების მიერ. ასეთ შემთხვევაშიაც შვებულების მიცემა დამო კიდებულია უფროსზე. ( ბრ. №925—25 წ.)

— ბ. რ. უვადო შვებულებაში წახვალთ ა. წ. შემოდგომაზ

# პასუხი სამხკორებს

კასრაძეს. ( 1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია კარგი იქნება ად გილობრივი კედლის გაზეთისათვის, გადაეცით რედკოლეგია

ვ. ღ. (2-რე ლეგ.) კორესპონდენცია „ჩვენი შტაბი" არ დაიბეჭდ ბა. ხშირად მოგვაწოდეთ წერილები ბანაკში სამხედრო მუშ ობის შესახებ და სხვა.

ვ. ბურდილაძეს. (2 ლეგ.) წერილი „პოლევოი შტაბი" არ გამოდგ მოიწერეთ სხვაზე.

კოკილაშვილს. (მე-3 ლეგ.) წერილი მოდარაჯეების შესახებ არ და იბეჭდება. თქვენმა უფროსებმა იციან თუ როგორ მოიქცენ.

ლეკიშვილს. თქვენი წერილი მეტის-მეტად გაუგებარია. ეცადე სწეროთ მომავალში უფრო გარკვევით.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ლეგ. მე-7 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადებ კანდიდატად მიღების შესახებ ამხ. კირილე ანტონისძე ტოხვაძეს თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, გთხოვთ გვაცნობო ქ. გორში მე-7 კომუჯრედში.

თჯრედის მდივანი ვ. ღ ვ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი.

# სამხედრო წესდებების გამოცემა

ქართულ სამხედრო სარედაქციო საგამომცემლო (მთა ვარ საწესდებო) კომისიამ ახლად გამოუშვა ჯარის ნაწილე ბისათვის „მაქსიმის" სისტემის მძიმე ტყვიამრფქვევი. აგრეთვე გამოცემული არის: 1. „დრ. სადისციპლინო წესდება", 2. დრ. იებრძოლო წესდება ნაწ. I, 3. „სროლის დრ. წესდება" ნაწ. სასროლო წესდება იარაღი 1891 ნიმუშის შაშხანა, 4. „მო I კაზმულობა საველე არტილერიისა" და 5. ახლად შესწორ ბული სამხედრო-ტეხნიკური ლექსიკონი.

ნაწილებს, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ აღნიშნული წესდებები და ლექსიკონი, მიმართონ სამხედრო სარედაქციო კომისიას (კეცხოველის ქ. № 3).


XXXXX

# რა ღირს 1-ლ ივნისიდან „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ. 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.